საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტექნოლოგიური ფაკულტეტის
სააპელაციო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 30 ივლისი, 2018 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივლისის №69 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო სააპელაციო კომისიის წევრები:

1. რევაზ კახიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) - თავმჯდომარე,
2. რაულ გოცირიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) - მდივანი.

სხდომას არ ესწრება:

გურამ პაპუნიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) - წევრი.

სხდომას ესწრებიან ასევე: საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ დიასამიძე და კანცელარიის უფროსი ხათუნა ხალვაში.

დღის წესრიგი:

1. „ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის №01-08/64 ბრძანების საფუძველზე ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტ გურამ ჩხუბაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის კანცელარიის უფროსის ხათუნა ხალვაშისაგან მიღება და ამავე კონკურსანტის საჩივრის საპროცედურო კომისიისაგან მიღება;
2. კონკურსანტის გურამ ჩხუბაძის მიერ 2018 წლის 27 ივლისის საპროცედურო კომისიაში წარმოდგენილი განცხადების (საჩივრის) განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი:

საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ დიასამიძემ განმარტა, რომ „ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის №01-08/64 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში საპროცედურო კომისიაში წარმოდგენილი იქნა ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტ გურამ ჩხუბაძის განცხადება (საჩივარი).

კანცელარიის უფროსმა ხათუნა ხალვაშმა განმარტა, რომ ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიამ კანცელარიას ჩააბარა ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო მასალა და დღევანდელ სხდომაზე წარმოგიდგენთ ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტ გურამ ჩხუბაძის საკონკურსო მასალას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

საპროცედურო კომისიისა და კანცელარიის უფროსის მიერ წარმოდგენილი მასალა მიღებული იქნას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (აღნიშნული აქტები წინამდებარე ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს დღის წესრიგის მე-2 საკითხი:

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის შესაბამისად შესწავლილ უნდა იქნას კონკურსანტ გურამ ჩხუბაძის განცხადება (საჩივარი), მისი საკონკურსო დოკუმენტაცია და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მართებულობა.

კონკურსანტმა გურამ ჩხუბაძემ 2018 წლის 27 ივლისს წარმოადგინა საჩივარი, რომლითაც ის არ ეთანხმება კონკურის შედეგებს და ითხოვს საჩივრის განხილვას. კონკურსანტი აპროტესტებს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებას, მოითხოვს დასაბუთებას, თუ რა უპირატესი არგუმენტებით გაიმარჯვა კონკურსანტმა დარეჯან ჯაშმა, მაშინ როცა ის სპეციალობით ,,აგროეკოლოგია“, კითხულობს 3-კრედიტიან საგანს ,,სატყეო ეკოლოგია“. მომჩივანი აღნიშნავს, რომ მცენარეთა დაცვის მიმართულებით თავად კითხულობდა სამ 5 კრედიტიან სალექციო კურსებს. გარდა ამისა, მომჩივანი ითხოვს წერილობით პასუხს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დამადასტურებელი ,,პარამეტრებს“, მათ შორის კონკურსანტებთან ჩატარებული გასაუბრების და საჩვენებელი ლექციის ამსახველ ვიდეო მასალებს.
საკონკურსო სააპელაციო კომისიის წევრებმა გავეცანით კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაციას და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებს და თანდართულ მასალას.

გურამ ჩხუბაძის საჩივართან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარე რევაზ კახიძის მოსაზრება არის შემდეგი:

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო კომისიამ, 8 წევრის შემადგენლობით (დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებით) იხელმძღვანელა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 27 ივლისს მიღებული №04 გადაწყვეტილებით - ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით", რომლის მე–6 მუხლის 8.1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე, ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (წესის დანართი №4). კონკურსის პირველ ეტაპზე მოხდა საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და კონკურსანტებისთვის პრეტენდენტის სტატუსის მინიჭება. გურამ ჩხუბაძეს და დარეჯან ჯაშს მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი და ისინი დაშვებული იქნენ შერჩევის მეორე ეტაპზე (გასაუბრება/საცდელი ლექცია). როგორც საკონკურსო კომისიის ოქმიდან ირკვევა, საკონკურსო კომისიას არ უთხოვია კონკურსანტებისათვის გასაუბრების ან საცდელი ლექციის ვიდეო-აუდიო ჩაწერის ნებართვა, შესაბამისად, ასეთი მასალები არ არსებობს, რაც შესაძლებელი იქნებოდა დაინტერესებული კონკურსანტისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 27 ივლისს მიღებული №04 გადაწყვეტილებით - ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის თანახმად, კომისია უფლებამოსილია და არა ვალდებული, კონკურსანტების თანხმობით ჩაწეროს გასაუბრება/საცდელი ლექცია.

პრეტენდენტებთან გასაუბრებისა და საცდელი ლექციის ჩატარების შემდეგ, როგორც საკონკურსო კომისიის ოქმებიდან ირკვევა, იმ პრეტენდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს შეფასება ,,მაღალი" ან საშუალო", ხმის მიცემის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კონკურსანტებმა დარეჯან ჯაშმა და გურამ ჩხუბაძემ მიიღეს შეფასება ,,მაღალი", შესაბამისად, ისინი კომისიამ შეიყვანა ფარული კენჭისყრისათვის შესაბამის ბიულეტენში.

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის 8.2 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის თანახმად, ,,კონკურსანტების შეფასებების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობისა. ერთ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი. საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულის/გამარჯვებულების (ორი ან მეტი ერთნაირი საკონკურსო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში) გამოვლენის მიზნით

საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის მიმდინარე კონკურსში.

საკონკურსო კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის შედეგად კონკურსანტმა გურამ ჩხუბაძემ მიიღო 3 ხმა, დარეჯან ჯაშმა 5 ხმა, აქედან გამომდინარე გამარჯვებულ კანდიდატად გურამ ჩხუბაძე ვერ გამოცხადდა.

გურამ ჩხუბაძის საჩივართან დაკავშირებით კომისიის მდივნის, რაულ გოცირიძის მოსაზრება არის შემდეგი:

საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროცედურული დარღვევები არ ფიქსირდება. რაც შეეხება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ისინი თითქმის ერთნაირია, მაგრამ უპირატესობა, ჩემი აზრით, უნდა მიენიჭოს ქალბატონ დარეჯან ჯაშის მიერ წარმოდგენილს და რაც მთავარია, მე ყოველთვის დიდ ყურადღებას ვანიჭებ დიპლომით მინიჭებულ კვალიფიკაციას. ამ მხრივ, ქალბატონ დარეჯან ჯაშს მინიჭებული აქვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო ბატონ გურამ ჩხუბაძეს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. რადგან პროცედურული დარღვევები არ ყოფილა და წარმოდგენილი საბუთებით მიმაჩნია, რომ ქალბატონი დარეჯან ჯაშის დოკუმენტაცია უკეთესია, სააპელაციო კომისიას გურამ ჩხუბაძის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ გააჩნია.

სააპელაციო კომისიის წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხზე მსჯელობის შედეგად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:

1. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მონაწილე, კონკურსანტ გურამ ჩხუბაძის განცხადება (საჩივარი) არ დაკმაყოფილდეს და მის მიმართ მიღებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

2. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება კანცელარიის მეშვეობით წარედგინოს უნივერსიტეტის რექტორს, გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: web@bsu.edu.ge) და ეცნობოს კონკურსანტ გურამ ჩხუბაძეს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ასლის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ბათუმი სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე:

მდივანი: